



პროგრამის სახელწოდება

მევენახეობა-მელვინეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი 01

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს მომზადდეს მევენახე-მელვინის ბაკალავრი, რომელიც წარმატებულად გაართმევს თავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობას. მას ექნება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა და პროფესიული უნარები. ეცოდინება, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მევენახეობისა და მელვინეობის დარგის ზოგადი საფუძვლები, ვაზის გავრცელებული ძირითადი ჯიშები, მათი გაშენების, აღზრდა-ფორმირების, კულტივირების აგროტექნიკური წესები და ნორმები, ასევე ბიოლოგიური და ეკოლოგიური ასპექტები. ეცოდინება, როგორც კლასიკური მეთოდით ღვინის დაყენება, ასევე სხვა ძირითადი ტექნოლოგიები, დამუშავება-გამდგრადება და ჩამოსხმა. შეძლებს ღვინის დამუშავების თანამედროვე მეთოდების მოძიებას და მათ გამოყენებას.

დასაქმების სფეროები

მევენახეობა-მელვინეობის ბაკალავრის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროა:

- ღვინის მწარმოებელი კომპანიები
- ღვინის ლაბორატორიები
- მცირე ფერმერული მეურნეობები
- მევენახეობა-მელვინეობის მიმართულელების საკონსულტაციო ფირმები
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები
- სურსათის უვნებლობის მაკონტროლებელი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ

ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ეცოდინება ნიადაგის ტიპები, მისი ნაყოფიერება და დამუშავება; ვაზის მორფოლოგია, მისი სასიცოცხლო პროცესები, განვითარების ფაზები; ვაზის მავნებელ-დაავადებები, მათი წარმოშობის მიზეზები, ბრძოლის ღონისძიებები და პრევენცია; ვენახის დაგეგმვა და გაშენება; რთველის პროცესების მართვა; ღვინის დაყენების მეთოდები ვენახის მოცემულობის და აგროკლიმატური პირობების გათვალისწინებით; ღვინის დამუშავება და ჩამოსხმა; ამ ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს შეაფასოს ნიადაგი და აგროკლიმატური პირობების გათვალისწინებით შეარჩიოს შესაბამისი ვაზის ჯიშები. შეეძლება გააშენოს ვენახი და უზრუნველყოს მისი მოვლა და განვითარება. შეეძლება დაგეგმოს რთველი, წარუძღვეს მას, გამოიყენოს თავის ცოდნა ღვინის დაყენების, დამუშავების და ჩამოსხმის პროცესებში. ის შეძლებს მარნისთვის საჭირო მანქანა დანადგარების შერჩევას და მათ მართვას.

მევენახეობა-მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.

ზოგადი კომპეტენციები:

- კრიტიკული ანალიზის, მსჯელობისა და დებატის უნარი
- მშობლიურ ენაზე პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი
- უცხოურ ენაზე (ინგლისური და ფრანგული) წერისა და კომუნიკაციის უნარი
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი
- კვლევის დაგეგმვის, კვლევის განხორციელების, მიღებული შედეგების ანალიზის და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი
- სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, ნაშრომის გაფორმების და საჯაროდ წარმოდგენის უნარი
- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი

დარგობრივი კომპეტენციები:

- ეცოდინება მცენარეთა ბიოლოგიის თავისებურებები, მცენარში მიმდინარე ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესები;
- შეეძლება ნიადაგების გენეზისის საფუძველზე ნიადაგების შეფასება, ნიადაგის დამუშავება და მისი ნაყოფიერების მართვა;
- ეცოდინება ვაზის ისტორიული და გეოგრაფიული წარმოშობა; ევროპული, ამერიკული და აზიური სახეობები; საღვინე, სასუფრე, საქიშმიშე, საძირე ჯიშები, კლონები და ჰიბრიდები; მევენახეობის ქვეყნები, რეგიონები, სპეციფიკური ზონები;
- ეცოდინება ვაზის ანატომია და ეკოფიზიოლოგია; ვაზის ზრდა-განვითარების ეტაპები, ფენოლოგია; ვაზის კულტივირებისთვის რეკომენდებული ან/და ლიმიტირებული ეკოლოგიური პირობები; მევენახეობის სპეციფიკური ზონების (ტერუარის) ეფექტი;
- ეცოდინება ვაზის ვეგეტატიური გამრავლების წესები; შეეძლება ფილოქსერაგამძლე საძირეების შერჩევა, ვაზის სარგავი მასალის წარმოების აპრობირებული ტექნოლოგიები, ერთწლიანი და მწვანე ნაყენი ნერგის გამოყვანა;
- შეეძლება ვაზის სელექცია, ახალი ჯიშების მიღება და გაუმჯობესება, ჰიბრიდიზაცია და ინ ვიტრო ტექნოლოგიები; ეცოდინება კლონური სელექციის მეთოდები;
- შეეძლება სავენახე ნაკვეთის მომზადება, ნიადაგის დამუშავება, ნერგის დარგვა, საყრდენი სისტემების მოწყობა, ვენახის სწორი დიზაინის შერჩევა;
- შეეძლება ვენახის სეზონური მენეჯმენტი: ვაზის მავნებელ-დაავადებების მართვა, ინტეგრირებული დაცვის მეთოდების გამოყენება; ირიგაცია, ვაზის კვება; ვეგეტატიური და გენერაციული განვითარების ბალანსირება, სხვლა - ფორმირება, მწვანე ოპერაციები; რთველის ორგანიზება;
- შეეძლება რთველის დაგეგმვა და წარმართვა, ალკოჰოლური და ვაშლ-რძემჟავა დუღილის ჩატარება, ფიზიკო-ქიმიური ანალიზი, ღვინის დამუშავება, გამდგრადება და ჩამოსხმა; ტექნოლოგიური პროცესებისას საჭირო აღჭურვილობის შერჩევა და მოხმარება;
- შეეძლება ღვინის შეფასება ორგანოლექტიკურად, ღვინის დაავადებების წარმოშობის განსაზღვრა, პრევენცია; ქართული და სხვა ქვეყნების ღვინის ტიპურობის შეფასება და მომხმარებლისთვის წარდგენა;
- გაცნობიერებული ექნება მარკეტინგის მნიშვნელობა და შეეძლება მარკეტინგული გეგმის შემუშავება, პროდუქტის რეპრეზენტაციისა და პოზიციონირების განსაზღვრა, ეტიკეტის შერჩევა და ბრენდის იდენტობის ჩამოყალიბება;
- შეეძლება მევენახეობა-მეღვინეობის საკითხებზე ინფორმაციული მასალის მოძიება, პრობლემის დაყენება, მისი ანალიზი და გადაჭრის შესახებ დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამის დამთავრების შემდეგ, სტუდენტს:

ცოდნა და გაცნობიერება

- ეცოდინება საბუნებისმეტყველო (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) და ხელშემწყობი ზუსტი მეცნიერებების (მათემატიკა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები) საფუძვლები;
- ეცოდინება მცენარეთა (მათ შორის, ვაზის) გენეტიკის, ვაზის სელექციის, ვაზის ფიზიოლოგიის, ზოგადი ბიოქიმიის ძირითადი პრინციპები;
- ეცოდინება ეკოლოგიური ფაქტორები და მათი მოქმედება ეკოსისტემაზე;
- ეცოდინება ვაზის ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანის და შეფასების ძირითადი მეთოდები;
- ეცოდინება ვაზის მორფოლოგია, მისი სასიცოცხლო პროცესები, განვითარების ფაზები;
- ეცოდინება მევენახეობის ზოგადი პრინციპები;
- ეცოდინება ნიადაგის ტიპების, სტრუქტურის, დამუშავების ხერხების, ნაყოფიერების და მისი ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების პრინციპები;
- ეცოდინება ვაზის ძირითადი მავნებელ-დაავადებები, მათი წარმოშობის მიზეზები და მათი მოქმედების წინააღმდეგ ინტეგრირებული ბრძოლის ღონისძიებები;
- ეცოდინება მარნის არჭურვა, მისი პრინციპები;
- ეცოდინება დარგის თანამედროვე ტენდენციების, ახალი ინოვაციური მიმართულებების საფუძვლები (ორგანული მევენახეობა, თანამედროვე მიდგომები);
- ეცოდინება ვენახსა თუ მარანში მანქანებისა თუ დანადგარების მუშაობის პრინციპები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- შეეძლება მევენახეობის - მეღვინეობის საქმიანობისათვის ნაკვეთისა და ვაზის შეჩვენა;
- შეეძლება დადგენილი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება ოპტიმალურ კალენდარულ ვადებში;
- შეეძლება ნიადაგის სწორად დამუშავება, ვაზის რგვის და მოვლის სამუშაოების ჩატარება;
- შეეძლება ვენახის დაგეგმვა და გაშენება, მისი მოვლა; რთველის პროცესების მართვა;
- შეეძლება მავნებლის კონკრეტული სახეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- შეეძლება ვაზის მავნებლების იდენტიფიცირება და მათი მავნეობის განსაზღვრა;
- შეეძლება ვაზის მოვლა, სხვლა-ფორმირება, ყურძნის სიმწიფის განსაზღვრა და მოსავლის აღების ორგანიზება;

- შეეძლება ყურძნის მიღება-დამუშავება, ალკოჰოლური და ვაშლ-რძემჟავა დუღილების წარმართვა, ღვინის დამუშავება, მოვლა, სტაბილიზაცია და ჩამოსხმა;
- შეეძლება ღვინის დაყენების შესაბამისი მეთოდების შერჩევა ვენახის მოცემულობის და აგროკლიმატური პირობების გათვალისწინებით;
- შეეძლება ღვინის დაგემოვნება და შეფასება, პრობლემის შემთხვევაში პრევენციული ზომების გატარება;
- შეეძლება საჭირო მანქანა-დანადგარების შერჩევა და მათი გამოყენება;
- შეეძლება მარკეტინგულად სწორად მოახდინოს ღვინის შეფუთვა და წარდგენა.

დასკვნის უნარი:

- შეეძლება პრობლემის გადასაწყვეტად მონაცემების შეგროვება, მათი ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- შეეძლება ვენახის მოვლისა და ღვინის წარმოების ტექნოლოგიის განვითარების შესახებ გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები;
- შეეძლება მიიღოს რაციონალური და ადეკვატური გადაწყვეტილებები მევენახეობასა და მეღვინეობის საკითხებთან დაკავშირებით;
- შეეძლება ახალი და განყენებული მონაცემების და/ან სიტუაციების დამოუკიდებელი ანალიზი ცოდნის და სფეროსთვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;
- შეეძლება დასკვნის გაკეთება და სათანადოდ დასაბუთება წარმოების ჰიგიენის, ნარჩენების მართვისა და გარემოს დაცვის ღონისძიებების შესახებ;
- შეეძლება პრობლემის ალტერნატიული გზების განსაზღვრა და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება და დაცვა;
- შეეძლება აღწეროს ბიზნეს-გარემო, რომელშიც ხდება ვაზის გაშენება/მოვლა, ღვინის წარმოება და გააცნობიეროს მენეჯმენტის პრინციპების გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- შეეძლება დასკვნის გაკეთება თუ რამდენად სრულყოფილია ვენახის მოვლისა და ღვინის წარმოების პროცესი და რამდენად შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას.

კომუნიკაციის უნარი:

- შეეძლება პროფესიული საკითხების ირგვლივ დებატებში, დისკუსიებსა და საჯარო განხილვებში მონაწილეობა;
- შეეძლება საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა პროფესიული აუდიტორიის წინაშე;
- შეეძლება გუნდურად მუშაობა.

სწავლის უნარი:

- შეეძლება დარგის ამოცანების და მეთოდების განსაზღვრა, უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, საფუძვლიანი დამუშავება და მიღებული ახალი ინფორმაციის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე ცოდნის გაღრმავება;
- შეეძლება სწავლის პროცესის წარმართვა და დაგეგმვა;
- შეეძლება დროისა და სასწავლო რესურსების ეფექტური მართვა.

ღირებულებები:

- გაცნობიერებული ექნება თითოეული ღონისძიების მნიშვნელობა მოსავლის აღების და წარმოების მიმართულებით;
- გაცნობიერებული ექნება საკუთარი პროფესიის მნიშვნელობა;
- გაცნობიერებული ექნება ვაზის გენეტიკური რესურსების (სელექცია, თანამედროვე ჯიშების) დაცვისა და გამოყენების აუცილებლობა დარგის მდგრადობისათვის;
- გაცნობიერებული ექნება თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენებით მევენახეობა-მელვინეობის წარმოების უზრუნველყოფა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. მევენახეობა-მელვინეობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, ანალიზი.

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება ისეთი შეფასების ფორმები, როგორცაა: საშინაო დავალებები, ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტია

და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს .სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება რამდენიმე კომპონენტისგან:

ECTS

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება	50
მიმართულების ზოგადი განათლება	33
მიმართულების საბაზო განათლება	23
მევენახეობა-მეღვინეობის ძირითადი განათლება	111
პრაქტიკული განათლება	11
არჩევითი საგნები	12
რაოდენობა	სულ კრედიტების 240

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული სასწავლო გეგმა.

აღსაღნიშნავია, რომ პროგრამა შედგენილია ვაშინგტონის (აშშ), კორნელისა (აშშ) და კალიფორნიის (აშშ) უნივერსიტეტების შესაბამისი პროგრამების საფუძველზე და მორგებულია ქართულ რეალობასა და ტრადიციებს.